საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

N 04/463
26.07.2023

ბრძანება

463-01-4-202307261315

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 8 თებერვლის N 04/58 ბრძანების შესაბამისად, ი/მ ნანა ვეფხვაძის (პ/ნ 01005027966) მიერ სააგენტოს გადაწყვეტილების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის გამო ჯარიმის დაკისრების თაობაზე

1. ფაქტობრივი გარემოებები

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო), მოვაჭრე ი/მ ნანა ვეფხვაძის (პ/ნ 01005027966) (შემდგომში -მოვაჭრე) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე წარმოდგენილი იქნა მოქალაქე მარი კობახიძის (შემდგომში - მომხმარებელი) 2022 წლის 5 დეკემბრის №01/2225 განცხადება.

“მოქალაქე მარი კობახიძის განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე” სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 26 დეკემბრის N04/309 ბრძანებით, სააგენტომ დაიწყო საქმის შესწავლა კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით.

„საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 26 დეკემბრის N04/309 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის შესწავლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 8 თებერვლის N04/58 ბრძანებით, დადასტურდა ი/მ ნანა ვეფხვაძის (პ/ნ 01005027966) მიერ კანონის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის, მე-10 მუხლის, მე-16 მუხლის 1-ელი პუნქტის, მე-17 მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტების დარღვევის ფაქტი და კანონდარღვევის აღმოფხვრის მიზნით, ი/მ ნანა ვეფხვაძეს დაევალა 1 თვის ვადაში მომხმარებელთა დარღვეული უფლებების აღდგენა და თავისი სავაჭრო პოლიტიკის კანონის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის, მე-10 მუხლის, მე-16 მუხლის 1-ელი პუნქტისა და მე-17 მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ (შემდგომში -

პროცედურა) მე-17 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 8 თებერვლის N04/58 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება მოვაჭრეს სააგენტოს 2023 წლის 21 თებერვლის N02/409 წერილით გაეგზავნა სარეგისტრაციო დოკუმენტებში (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერში) მითითებულ მისამართსა და ელექტრონული ფოსტის მისამართზე - minimalist022@gmail.com. პროცედურის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს გადაწყვეტილება ჩაბარდა ელ-ფოსტის საშუალებით 2022 წლის 21 თებერვალს.

ბრძანების მე-3 და მე-4 პუნქტის საფუძველზე, მოვაჭრე ვალდებული იყო ბრძანების ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები და აღნიშნულის თაობაზე 1 თვიანი ვადის გასვლიდან 5 სამუშო დღის განმავლობაში ეცნობებინა სააგენტოსთვის. 2023 წლის 21 მარტს, ელ-ფოსტის მეშვეობით მოვაჭრემ სააგენტოს აცნობა, რომ 2023 წლის 8 თებერვლის N04/58 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილებით დაკისრებული ვალდებულებები შეასრულა, თუმცა ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები სააგენტოსთვის არ წარმოუდგენია.

გარდა ამისა, სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის მიერ შემოწმებულ იქნა სოციალურ ქსელ Facebook-ზე არსებული მოვაჭრის სავაჭრო გვერდზე „Minimalist” განთავსებული სავაჭრო პოლიტიკა. წარმოდგენილი მტკიცებულებებით და შემოწმებული სავაჭრო პოლიტიკით დასტურდება, რომ მოვაჭრემ სავაჭრო პოლიტიკა შესაბამისობაში არ მოიყვანა კანონის მოთხოვნებთან.

რაც შეეხება იმ მომხმარებელთა უფლებების აღდგენას, რომელთაც მოვაჭრის მიერ კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად უფლებები დაერღვათ, მოვაჭრეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომლითაც დადგინდებოდა მომხმარებლისთვის დარღვეული უფლების აღდგენის ფაქტი.

2023 წლის 15 მაისს სააგენტოს N02/1275 წერილით მოვაჭრეს დაევალა 2022 წლის წლიური ბრუნვის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა. ამავე წლის 7 ივნისის N01/1877 წერილით მოვაჭრემ სააგენტოს წარმოუდგინა ხსენებული ინფორმაცია.

ვინაიდან სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 8 თებერვლის N04/58 ბრძანებით დაკისრებული ვცალდებულებები მოვაჭრემ არ შეასრულა, სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 5 მაისის N03/306 მოხსენებითი ბარათის

საფუძველზე სააგენტომ დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება ჯარიმის დაკისრების მიზნით.

2. ნორმატიული რეგულირება

კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტოს გადაწყვეტილების მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოვაჭრეს ჯარიმა დაეკისრება. ამ ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს. ამასთანავე, იგი 600 ლარზე ნაკლები არ უნდა იყოს. კანონის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დარღვევის ხასიათი, სიმძიმე და ხანგრძლივობა. გარდა ამისა, პროცედურის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტების თანახმად, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დარღვევის მასშტაბი, ხასიათი, სიმძიმე, ხანგრძლივობა და სხვა გარემოებები.

3. სამოტივაციო ნაწილი

სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 8 თებერვლის N04/58 ბრძანების მე-3 და მე-4 პუნქტის საფუძველზე, ი/მ ნანა ვეფხვაძე ვალდებული იყო ბრძანების ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები და აღნიშნულის თაობაზე 1 თვიანი ვადის გასვლიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში (2023 წლის 27 მარტის ჩათვლით) ეცნობებინა სააგენტოსთვის.

ვინაიდან სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 8 თებერვლის N04/58 ბრძანებით დაკისრებული ვალდებულებები მოვაჭრემ არ შეასრულა, კერძოდ არ აღადგინა მომხმარებლის დარღვეული უფლება და სავაჭრო პოლიტიკა არ მოიყვანა კანონის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის, მე-10 მუხლის, მე-16 მუხლის 1-ელი პუნქტისა და მე-17 მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში და აგრძელებს კანონთან შეუსაბამო სავაჭრო პირობებით კომერციულ საქმიანობას, სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 5 მაისის N03/306 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სააგენტომ დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება ჯარიმის დაკისრების მიზნით, რა დროსაც

სააგენტოს მიერ გათვალისწინებულ უნდა იქნეს დარღვევის მასშტაბი, ხასიათი, სიმძიმე, ხანგრძლივობა და სხვა გარემოებები.

1. ი/მ ნანა ვეფხვაძის მიერ დარღვევის **მასშტაბის** შეფასებისას, სააგენტო ითვალისწინებს დარღვევის გეოგრაფიულ და შინაარსობრივ მასშტაბებს - დარღვევა მოხდა ადგილობრივად (ლოკალურად, მხოლოდ ერთ რეგიონში) თუ ქვეყნის მასშტაბით და იმ მომხმარებელთა რაოდენობას, რომელთა ინტერესებზეც გავლენას ახდენს ან/და შესაძლოა მოახდინოს დარღვევის შედეგებმა (დარღვევა ვრცელდება ძალიან ვიწრო წრეზე თუ ფართო წრეზე). მოვაჭრე კომერციულ საქმიანობას ახორციელებს დისტანციურად, მთელი საქართველოს მასშტაბით, ამდენად, დისტანციური ვაჭრობის დროს პოტენციური მომხმარებლების აუდიტორიას წარმოადგენს ნებისმიერი ფიზიკური პირი მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომელსაც ექნება სურვილი მოვაჭრისგან მიიღოს შესაბამისი მომსახურება/საქონელი. შესაბამისად, კანონთან შესაბამისი სავაჭრო პოლიტიკის არარსებობა გავლენას ახდენს არა ერთი კონკრეტული მომხმარებლის უფლებებზე, არამედ, ყველა პოტენციურ მომხმარებელზე.
2. მოვაჭრის მიერ ჩადენილი დარღვევის **ხასიათის** შეფასებისას, სააგენტო ითვალისწინებს ქმედება განზრახ იქნა ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, დარღვევა განზრახ ჩადენილად ჩაითვლება, თუ მის ჩამდენს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ითვალისწინებდა მის მავნე შედეგებს და სურდა ისინი ან შეგნებულად უშვებდა მათ.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მოვაჭრე კომერციულ საქმიანობას ახორციელებს დისტანციურად. საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას დადგინდა, რომ მოვაჭრემ ვერ წარმოადგინა ვერანაირი უტყუარი მტკიცებულება, რომლითაც დაადასტურებდა, რომ მომხმარებლისთვის გადაცემული ნივთი მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისი იყო. ასევე, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მოვაჭრე კომერციულ საქმიანობას არ ახორციელებს კანონის შესაბამისად, კერძოდ მოვაჭრე განზრახ არღვევს კანონის მე-5 და მე-10 მუხლებით გათვალისწინებულ მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და უნაკლო ნივთის გადაცემის ვალდებულებებს. ასევე, მოვაჭრეს არც სააგენტოსთვის და არც მომხმარებლისთვის არ წარუდგენია მტკიცებულებები,

რომლებიც დაადასტურებდა ნაკლიანი ნივთის შეცვლა/შეკეთება/დაბრუნებასთან დაკავშირებულ კანონთან შესაბამის სავაჭრო პოლიტიკას. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, მოვაჭრის ზემოაღნიშნული ქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც განზრახ ჩადენილი.

3. მოვაჭრის მიერ ჩადენილი დარღვევის **სიმძიმის** შეფასებისას, სააგენტო ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს: ა) ინტენსივობას; ბ) დამდგარ ან მოსალოდნელი ზიანის სახეს (ქონებრივი); გ) ზიანის ოდენობას; დ) არიან თუ არა დაზარალებულები მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლები; ე) მოვაჭრე მოქმედებდა მოგების მიღების მიზნით თუ საკუთარი საწარმოს რთულ ვითარებაში ჩაგდების თავიდან ასარიდებლად.

მოცემულ შემთხვევაში, მოვაჭრემ ვერ დაადასტურა მომხმარებლისთვის უნაკლო ნივთის გადაცემის ფაქტი და ამასთან უარს აცხადებს ნივთის შეკეთება/შეცვლა/დაბრუნებაზე, რაც ქონებრივ ზიანს აყენებს მომხმარებელს. გარდა ამისა, სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლამდე, მომხმარებელს უნდა მიეწოდოს კანონის მე-5 და მე-10 მუხლებით გათვალისწინებული ინფორმაცია. მოვაჭრის მიერ ზემოაღნიშნული ვალდებულების დარღვევა ზიანს აყენებს არა მხოლოდ კონკრეტულ მომხმარებელს, არამედ, ნებისმიერ პოტენციურ მომხმარებელს, რომელსაც ექნება სურვილი, რომ მიიღოს შესაბამისი მომსახურება/საქონელი მოვაჭრისგან. როგორც უკვე აღინიშნა, მითითებულ ვადაში მოვაჭრეს სააგენტოსთვის არ წარმოუდგენია ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები. გარდა ამისა, სააგენტოს მიერ გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, შემოწმებულ იქნა მოვაჭრის სავაჭრო ფეისბუქ გვერდი, რის შედეგადაც დადგინდა, რომ არ იყო განთავსებული სავაჭრო პოლიტიკა, ხოლო რაც შეეხება იმ მომხმარებელთა უფლებების აღდგენას, რომელთაც მოვაჭრის მიერ კანონით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად უფლებები დაერღვათ, მოვაჭრეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომლითაც დადგინდებოდა მომხმარებელებისთვის დარღვეული უფლებების აღდგენის ფაქტი. სააგენტოსთან სატელეფონო საუბრისას მოვაჭრემ დააფიქსირა, რომ უარს აცხადებს განმცხადებლისთვის გადაწყვეტილებით დადგენილი დარღვეული უფლების აღდგენის თაობაზე. აღნიშნული ადასტურებს, რომ მოვაჭრე კომერციულ საქმიანობას აგრძელებს კანონის დარღვევით, რომელიც სავარაუდო ქონებრივ ზიანს აყენებს მომხმარებლებს. სააგენტოს შეფასებით და სააგენტოში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მოვაჭრე ი/მ ნანა ვეფხვაძე

მოქმედებდა მოგების მიღების მიზნით და კანონშეუსაბამო სავაჭრო პოლიტიკის ფარგლებში, მოქმედებით, არღვევდა მომხმარებელთა უფლებებს.

4. მოვაჭრის მიერ დარღვევის ჩადენის **ხანგრძლივობის** შეფასებისას, სააგენტო ითვალისწინებს რამდენ ხანს გრძელდებოდა კანონსაწინააღმდეგო მოქმედება (ან უმოქმედობა). სააგენტოში წარმოდგენილი განცხადებიდან დგინდება, რომ მოვაჭრის კანონის შეუსაბამო ქმედებები ხორციელდებოდა სულ მცირე მომხმარებლის მიერ მოვაჭრესთან ხელშეკრულების დადების მომენტიდან - 2022 წლის 15 სექტემბრიდან და გრძელდება დღემდე (პერიოდის გამოთვლა განხორციელდა სააგენტოში წარმოდგენილი განცხადებისა და სააგენტოს მიერ მოვაჭრის სავაჭრო პლატფორმის გადამოწმების შედეგად -სავაჭრო პირობების კანონშეუსაბამობის გამოვლენიდან).

ი/მ ნანა ვეფხვაძის მიერ კანონის **დარღვევის ფაქტების სხვა გარემოებების** შეფასებისას, სააგენტო ითვალისწინებს შემდეგ კრიტერიუმებს: ა) მოვაჭრემ სცადა თუ არა სამართალდარღვევის მავნე შედეგების აცილება, ზარალის ნებაყოფლობით ანაზღაურება ან მიყენებული ზიანის გამოსწორება; ბ) მოვაჭრემ მიიღო თუ არა ზომები დარღვევის გამოსწორების მიზნით; გ) საქმის შესწავლის დროს სააგენტოსთან თანამშრომლობა; დ) მოვაჭრის ქცევა, რომლის დროსაც იგი ცდილობს მტკიცებულებების მოსპობას ან აქტიური ქმედებებით სააგენტოსთვის საქმის შესწავლის პროცესში შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებაში ხელის შეშლას; ე) მოვაჭრის მიერ დარღვევის ჩადენის მრავალჯერადობა.

რაც შეეხება იმ გარემოებებს, მოვაჭრემ სცადა თუ არა სამართალდარღვევის მავნე შედეგების აცილება, ზარალის ნებაყოფლობით ანაზღაურება ან მიყენებული ზიანის გამოსწორება და მოვაჭრემ მიიღო თუ არა ზომები დარღვევის გამოსწორების მიზნით, მტკიცებულებებითა და სააგენტოს მიერ მოვაჭრის სავაჭრო გვერდების გადამოწმებით დასტურდება, რომ მოვაჭრე ი/მ ნანა ვეფხვაძის მიერ არ განხორციელებულა კანონის მოთხოვნების შესრულება, კერძოდ, მოვაჭრემ სავაჭრო პოლიტიკა არ გამოასწორა იმგვარად, რომ იგი შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს. როგორც უკვე აღინიშნა მოვაჭრეს მომხმარებლისთვის დარღვეული უფლება არ აღუდგენია (აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებები სააგენტოს მიერ მოთხოვნილ ვადაში არ წარმოუდგენია).

რაც შეეხება საქმის შესწავლის დროს სააგენტოსთან მოვაჭრის თანამშრომლობას, აღსანიშნავია, რომ მომხმარებლის განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან, სააგენტომ არაერთხელ გამოითხოვა წერილობით ინფორმაცია და პოზიცია

მოვაჭრისგან, ასევე არაერთხელ განხორციელდა სატელეფონო კომუნიკაცია განცხადებაში მითითებულ სატელეფონო ნომრებზე თუ ელ-ფოსტაზე. მოვაჭრე საქმის მიმდინარეობისას თანამშრომლობდა სააგენტოსთან.

2023 წლის 16 ივნისს კანონში შეტანილ იქნა ცვლილება და დაკისრებული ჯარიმის მინიმალური ოდენობა განისაზღვრა 600 ლარით. გასათვალისწინებელია, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 20-ე მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტის თანახმად, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ დადგენილია ამ ნორმატიული აქტით. იმის გათვალისწინებით, რომ სააგენტომ ჯარიმის დაკისრების მიზნით მარტივი ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 2023 წლის 17 მაისს (კანონში შეტანილი ცვლილების ამოქმედებამდე) მოვაჭრისთვის დაკისრებული ჯარიმა შესაძლებელია იყოს 600 ლარზე ნაკლები ოდენობის და არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოვაჭრე ი/მ ნანა ვეფხვაძისათვის დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობა უნდა განისაზღვროს 798 (შვიდას ოთხმოცდათვრამეტი) ლარითა და 10 (ათი) თეთრით, რაც წარმოადგენს მისი 2022 წლის წლიური ბრუნვის

4. სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-5, მე-6, მე-7 პუნქტების, სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-18 მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-6 პუნქტების, მე-19 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დადასტურდეს მოვაჭრე ი/მ ნანა ვეფხვაძის (პ/ნ 01005027966) მიერ სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 8 თებერვლის N04/58 ბრძანებით

დამტკიცებული გადაწყვეტილების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობა.

2. მოვაჭრე ი/მ ნანა ვეფხვაძეს (პ/ნ 01005027966) დაეკისროს ჯარიმა 798 (შვიდას ოთხმოცდათვრამეტი) ლარისა და 10 (ათი) თეთრის ოდენობით.
3. მოვაჭრე ი/მ ნანა ვეფხვაძე (პ/ნ 01005027966) ვალდებულია, ჯარიმა გადაიხადოს ამ ბრძანების კანონმდებლობით განსაზღვრული წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.
4. ჯარიმა გადაიხდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.
5. ჯარიმის დაკისრება მოვაჭრე ი/მ ნანა ვეფხვაძეს (პ/ნ 01005027966) არ ათავისუფლებს სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 8 თებერვლის N04/58 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილების შესრულების ვალდებულებისგან.
6. ბრძანება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
7. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია მისი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით გაცნობიდან 30 კალენდარული დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64);
8. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე